



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.49220171

თარიღი:17/01/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 1**

**საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საკონკურსო პროექტების იდეების განხილვისა და მოწონების შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 14 იანვრის N48-482201418 წერილი, რომელშიც მერმა საკრებულოს მოწონების მიზნით წარუდგინა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საკონკურსო პროექტების იდეების ნუსხა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N200 დადგენილებისა და „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 628 დადგენილების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საკონკურსო პროექტების იდეების ნუსხა (ნუსხა თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მერმა.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრადის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (სრიგპ) ფარგლებში, 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საკონკურსო პროექტების იდეების ნუსხა

№	პროექტის (იდეის) დასახელება	პრიორიტეტი (1.1ა, 1.1 ბ, 1.2ა, 2.1ა, 2.1ბ, 4.2, 4.3ა)	პროექტის სრული ღირებულება	სრგპ-იდან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება	პროექტის აღწერა	პროექტის მიზანი	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	პროექტი კი/არა
1	ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, წყალტუბო - ქუთაისის („სათაფლია“-ს და „პრომეთე“-ს მღვიმეების) დამაკავშირებელი, ადგილობრივი მნიშვნელობის, ე.წ. „მველი“ გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით და თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	4.2	3900000.00	3705000.00	195000.00	პროექტის ფარგლებში მოხდება: წყალტუბო - ქუთაისის („სათაფლია“-ს და „პრომეთე“-ს მღვიმეების) დამაკავშირებელი ე.წ. „მველი“, 6400 მ. სიგრძის, ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, მაღალი ხარისხის ცხელი ასფალტო-ბეტონის საფარით და გაუმჯობესებული თანმხლები ინფრასტრუქტურით (ბორდიურებითა და ტროტუარებით, სანიაღვრე არხებითა და გარე განათებით, საყრდენი კედლებით, სანაგვე	ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა	31.12.2022	არა

						ბუნკერებისთვის მოწყობილი „ჯიბებით“ და გამწვანების ზოლებით).			
2	<p>„ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში, „გაბზარულ ტბა“-სთან მისასვლელი, „საწურბლია“-ს და „პრომეთე“-ს მღვიმეებთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით და თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“</p>	4.2	1250000.00	1187500.00	62500.00	<p>პროექტის ფარგლებში მოხდება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში, „გაბზარულ ტბა“-სთან მისასვლელი, „საწურბლია“-ს და „პრომეთე“-ს მღვიმეებთან დამაკავშირებელი, ადგილობრივი მნიშვნელობის 1150 მ. სიგრძის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით და გაუმჯობესებული თანმხლები ინფრასტრუქტურით (გარე განათებით).</p>	<p>ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა</p>	31.12.2022	არა

3	<p>ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მექვენისა და სოფელ ვანისჭალის დამაკავშირებელი, მე-6 საუკუნის ტაძართან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით</p>	4.2	930000.00	883500.00	46500.00	<p>პროექტის ფარგლებში მოხდება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მექვენისა და სოფელ ვანისჭალას დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის 2500 მ. სიგრძის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.</p>	<p>ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა</p>	31.12.2022	არა
4	<p>ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის მიზნით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულისა და სოფელ ქვილიშორის (სათაფლია“-ს, „პრომეთე“-ს და „საწურბლია“-ს მღვიმეების) დამაკავშირებელი უმოკლესი ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით.</p>	4.2	2200000.00	2090000.00	110000.00	<p>პროექტის ფარგლებში მოხდება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულისა და სოფელ ქვილიშორის დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის 4800 მ. სიგრძის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით.</p>	<p>ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა</p>	31.12.2022	არა

5	ქ. წყალტუბოში, საკონცერტო დარბაზი „ივერია“-ს რეაბილიტაცია და აღჭურვა	4.2	1150000.00	1092500.00	57500.00	ქ. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებულ, საკონცერტო დარბაზ „ივერია“-ს რეაბილიტაცია, კერძოდ შენობის სახურავის რეაბილიტაცია, შიდა ინტერიერის მოწყობა, საჭირო აღჭურვილობა-ინვენტარის (აუდიო-ვიდეო აპარატურა, სცენის განათება, მაყურებელთა სკამები და სხვა) შექმნა.	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ტურისტული ან სხვა სახის მომსახურებების შეთავაზების მიზნით საჯარო შენობება/ნაგებობების განახლება	31.12.2022	არა
6	ქ. წყალტუბოს ცენტრალურ პარკში არსებული შადრევნისა და ამფითეატრის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია	4.2	300000.00	285000.00	15000.00	პროექტის ფარგლებში ჩატარდება: ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური პარკის სამრეთ ნაწილში მდებარე შადრევნისა და ამფითეატრის, ასევე მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები.	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა, მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება, რომლებიც მოქალაქეებსა და ტურისტებს ემსახურება	31.12.2022	არა

7	ქ. წყალტუბოში, სასტუმრო „პრომეთე“-სთან არსებული სკვერისა და შადრევნის, ასევე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.	4.2	450000.00	427500.00	22500.00	პროექტის ფარგლებში მოხდება: ქ. წყალტუბოში, სასტუმრო „პრომეთე“-სთან არსებული სკვერისა და შადრევნის, ასევე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.	ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა, მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება, რომლებიც მოქალაქეებსა და ტურისტებს ემსახურება	31.12.2022	არა
8	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩში აკ. გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია	2.1ბ	250000.00	237500.00	12500.00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩში მდებარე, აკ. გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმში წარმოადგენს 1-სართულიან ხის შენობას, რომელიც აშენებულია მე-19 საუკუნის ბოლოს და ესაჭიროება კაპიტალური რემონტი (დაზიანებული ხის მასალის შეცვლა, შენობის გადახურვის შეცვლა, საძირკველის გამაგრება და სხვა).	ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა	31.12.2022	არა